

ქართველთა თანადგომის საზოგადოება

წესდება

# „ქართველთა თანადგომის საზოგადოების“ წესდება

## 1. სახელი და მისამართი

„ქართველთა თანადგომის საზოგადოება“ (შემდგომში საზოგადოება) შექმნილია შვეიცარიის სამოქალაქო კანონის მე-60 პარაგრაფის გათვალისწინების მიხედვით. მისამართი: ჰობერგი 37, 8207 შაფჰაუზენი.

## 2. საზოგადოების მიზნები

საზოგადოება მიზნად ისახავს სხვადასხვა სახის პროექტების, კერძოდ სახლების, სკოლების, ობოლთა თავშესაფრების, მოხუცებულთა სახლების, საავადმყოფოების აშენება-აღდგენას; ასევე სამედიცინო, ეკონომიკური, კულტურული, ეკოლოგიური და სოციალური დახმარების გაწევას; აგრეთვე ამ სფეროებში მოქმედი ინსტიტუტების და პიროვნებების თანადგომას.

## 3. საზოგადოების ფინანსები

საზოგადოების ფინანსურ წყაროს წარმოადგენს:

- საზოგადოების წევრთა საწევრო გადასახადები;
- შემოწირულობები.

## 4. საზოგადოების წევრობა

საზოგადოების აქტიურ წევრად გახდომა შეუძლია ნებისმიერ ფიზიკურ პირს.

საზოგადოების პასიურ წევრად გახდომა შეუძლია ნებისმიერ ფიზიკურ და იურიდიულ პირს.

საზოგადოების ახალი წევრების მიღება შესაძლებელია ნებისმიერ დროს. წევრად გახდომის მსურველმა განცხადებით უნდა მიმართოს საზოგადოების მმართველ

ორგანოს (საბჭოს), რომელიც მიიღებს პირის წევრად გახდომის შესახებ გადაწყვეტილებას.

ფიზიკური პირის საზოგადოებაში წევრობა სრულდება მისი გარდაცვალებით. იურიდიული პირის შემთხვევაში მისი სამართლებრივი უფლებების დაკარგვის შემთხვევაში.

სხვა შემთხვევებში საზოგადოებიდან გასვლა შესაძლებელია კალენდარული წლის ბოლოს. საზოგადოებიდან გასვლის საბაბი წერილობით უნდა მიეწოდოს საბჭოს.

წერი ასევე შესაძლებელია გარიცხულ იქნას საზოგადოებიდან თუ მის საქმიანობას ზიანი მოაქვს საზოგადოების საქმიანობისათვის.

წევრის გარიცხვის შემთხვევაში მოსმენილ უნდა იქნას მისი მოსაზრება.

## 5. საზოგადოების მმართველი ორგანო

საზოგადოების მმართველი ორგანოა:

- პარტნიორთა საერთო კრება
- საზოგადოების მმართველი ორგანო (საბჭო)
- საზოგადოების მაკონტროლებელი ორგანო

## 6. პარტნიორთა კრება

საზოგადოების მართვის უმაღლესი ორგანოა პარტნიორთა კრება. პარტნიორთა კრება იმართება წელიწადში ერთხელ, წლის პირველ კვარტალში.

კრებაზე პარტნიორებს იწვევენ წერილობით კრებამდე სამი კვირით ადრე. მოწვევას თან ახლავს განსახილველი საკითხების ნუსხა. პარტნიორთა მხრიდან საბჭოს დროულად მიეწოდება წერილობით მოსაზრებები. დაგვიანებულ რეჟიმში მიწოდების

შემთხვევაში მოსაზრებები მომდევნო კრებაზე იქნება განხილული.

პარტნიორთა გაუთვალისწინებელი კრება შეიძლება მოწვეულ იქნას საბჭოს მიერ. ამგვარი სახის კრება შეიძლება შედგეს მაშინაც თუ პარტნიორთა მესხუთედი ამას მოითხოვს.

პარტნიორთა კრების კომპეტენციაში შედის:

- წინა შეკრების ოქმის დამტკიცება;
- მმართველი საბჭოს არჩევა;
- მაკონტროლებელი ორგანოს არჩევა;
- მმართველი ორგანოს წლიური ანგარიშის დამტკიცება;
- მაკონტროლებელი ორგანოს მიერ წარმოდგენილი წლიური ანგარიშის და ბიუჯეტის დამტკიცება;
- პარტნიორთა საწევრო გადასახადის განსაზღვრა;
- მმართველი საბჭოს დათხოვნა;
- წესდებაში ცვლილებების შეტანა;
- კომისიების დანიშვნა;
- საზოგადოებიდან წევრების გარიცხვა;
- საზოგადოების დაშლის შესახებ გადაწყვეტილების მიღება;
- საზოგადოების დაშლის შემთხვევაში დარჩენილი ფინანსების მიზნობრივად გახარჯვის შესახებ გადაწყვეტილების მიღება.

წესების დაცვით ჩატარებული პარტნიორთა კრება უფლებამოსილია მიიღოს ყველანაირი გადაწყვეტილება. კრებას უძღვება პრეზიდენტი. მისი არყოფნის შემთხვევაში შემცვლელი ან მოადგილე. კრებაზე

განხილული საკითხების შესახებ უნდა შედგეს კრების ოქმი.

საზოგადოების ყოველი აქტიური წევრი სარგებლობს ხმის უფლებით.

პასიური წევრები ხმის მიცემის უფლებით არ სარგებლობენ.

## 7. მმართველი საბჭო

მმართველი საბჭო შედგება მინიმუმ სამი ადამიანისგან, რომლებსაც ორი წლით ირჩევენ.

საბჭო განკარგავს საზოგადოების საქმიანობას და წარმოადგენს საზოგადოების სახეს.

საზოგადოების პრეზიდენტს ირჩევს საერთო კრება.

საბჭოს წევრები რეგულარულად ხვდებიან ერთმანეთს მიმდინარე საკითხების გადაჭრის მიზნით. შეკრების შესახებ შედგენილ უნდა იქნას ოქმი.

ყველა საკითხი წყდება ხმათა უმრავლესობით. ერთნაირი ხმების შემთხვევაში პრეზიდენტის ხმა წყვეტს სადავო საკითხს.

## 8. მაკონტროლებელი ორგანო

მაკონტროლებელი ორგანო შედგება ერთი ან ორი პირისგან. ასევე შესაძლებელია იყოს იურიდიული პირი.

მაკონტროლებელ საბჭოს ირჩევენ ორი წლის ვადით.

მაკონტროლებელი საბჭო საერთო კრებაზე წარმოადგენს საკუთარ ანგარიშს. წლის განმავლობაში მაკონტროლებელ ორგანოს უფლება აქვს საზოგადოების საბუღალტრო საქმიანობაში აქტიური მონაწილეობა მიიღოს.

## 9. საწევრო გადასახადები

აქტიური და პასიური წევრებისთვის საწევრო გადასახადის სიდიდეს წყვეტს საერთო კრება. საწევრო გადასახადია:

- ერთი პირი – 120 ფრ.
- წყვილი ან ოჯახი – 200 ფრ.
- ახალგაზრდა წევრი – 30 ფრ. 25 წლამდე
- ფირმა – 300 ფრ.
- კეთილისმსურველი – 1000 ფრ.

## 10. საზოგადოების წელი

საზოგადოების წელი იდენტურია კალენდარულ წელთან.

## 11. საზოგადოების დაშლა

საზოგადოების დაშლის შესახებ გადაწყვეტილებას ღებულობს პარტნიორთა საერთო კრება. დაშლის შემდეგ საზოგადოების ხაზინაში დარჩენილი თანხა გადაეცეს იდენტური მიზნების მქონე, გადასახადებისგან თავისუფალ საზოგადოებას.

## 12. წესდების ძალაში შესვლა

წესდება ძალაშია პარტნიორთა კრების გადაწყვეტილების საფუძველზე.

შაფჰაუზენი, 18 მარტი 2007 კრების მდივანი: ი.კრებსერი

პრეზიდენტი: ქ.კრებსერი